ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო სხდომის ოქმი #11

5.02.2018

2018 წლის 5 თებერვალს გაიმართა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს რიგით მეთერთმეტე შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ საბჭოს წევრი დელეგატების უმრავლესობა და მოწვეული სტუმრები-ექსპერტები. შეხვედრას უძღვებოდა ბ-ნი პავლე თვალიაშვილი.

დღის წესრიგი:

1. ქალაქის მერისათვის გასაგზავნი წერილი.

2. ეთიკის კოდექსი.

3. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შინაგანაწესის განსაზღვრა.

4. სხდომის შეჯამება.

5 თებერვლის საბჭოს სხდომაზე დელეგატებმა იმსჯელეს და შეიმუშავეს ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერისათვის გასაგზავნი წერილის ფორმა, რომელშიც აღწერილი იყო ჩეხეთში სამუშაო ვიზიტის შედეგედ მიღებული ცოდნა და გამოცდილება. ასევე ის პროექტები, აქტივობები და ინიციატივები, რომელიც ქალაქის განვითარებაში მნიშვნელოვან საფეხურს წარმოადგენდა - მოსახლეობის ჩართულობა, მოსახლეობისა და თვითმმართველობის უკუკავშირი.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭომ ქ.რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის ბ-ნი ირაკლი ტაბაღუას თხოვნით ნდაიწყო მუშაობა მერიის თანამშრომლებისათვის ეთიკის კოდექსის შემუშავებაზე, რომელიც წარმოადგენს მერიის თანამშრომელთათვის აუცილებლად დასაცავ და შესასრულებელ გარკვეულ ნორმათა ერთობლიობას. გამოითქვა უამრავი საინტერესო აზრი და ინიციატივა. ძირითად საფუძველს წარმოადგენდა - ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი და ევროპული ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ.

საბჭოს სხდომის მეორე ნაწილში დელეგატებმა ასევე იმსჯელეს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შიდა წესდების ჩამოყალიბებაზე. აღნიშნულ შეხვედრაზე მოხდა ორივე დოკუმენტის - ეთიკის კოდექსის და საბჭოს შინაგანაწესის - პირველადი სამუშაო ვერსიის ჩამოყალიბება, რაშიც აქტიურ თანამონაწილეობას იღებდნენ მოწვეული ექსპერტები და დელეგატებს ეხმარებოდნენ სამუშაოს სწორად წარმართვაში.

სხდომის დასასრულს ტრადიციულად მოხდა შეხვედრის შეჯამება და შემდეგი სხდომა ჩაინიშნა 2018 წლის 12 თებერვალს საღამოს 19:00 საათზე.

სხდომის მდივანი

ნუკრი რამიშვილი

ქ. რუსთაავის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

სხდომა N11

5 თებერვალი 2018

ელგუჯა ღვინიაშვილი	
ლეილა ჩიქვილაძე	
მარინა კვიციანი	
ამირან მეგრელი	
ლელა კეთილაძე	
ნუკრი რამიშვილი	
თემურ შაფათავა	
გვანცა მასტერენკო	
გვარამაძე მარინა	
ტუქსიშვილი მარიკა	
ნინო ნადირაძე	
მალხაზ რაზმაძე	
ფიქრია ბირთველიშვილი	
გივი ჩხაიძე	
რეზო ბერაძე	
სოფო კონჭოშვილი	
ინგა ჯიჯლავა	
რამაზი შალიკაშვილი	
გურამი სხილაძე	
ლია კობახიძე	